პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 144B (12959)
შაბათი,
20
ივნისი,
1964 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

წარმატებით ხორციელდება შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ წელიწადს ახასიათებს ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელის შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა. ეს არის დიდ მთავაფიქრთა და დიდ საქმეთა წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ფართო პოზიტიური გადაშალა, ახალი შესაძლებლობანი დასახა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალი ცხოვრების შესანიშნავი პერსპექტივები შთააგონებს და აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. აი რატომ იბრძვიან ისინი ასეთი ენთუზიაზმით პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ წინასწარდასახულებათა განხორციელებისათვის. ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი ადამიანი, რომელსაც თავის ღვიძლ საქმედ, მთელი თავისი ცხოვრების აზრად არ მიიჩნდეს კომუნიზმის მშენებლობა. ქმიანის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ფართოვდება დიდი ქმიანის მშენებელთა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრება, ტემპს ზრდიან საწარმოები, რომლებიც მინერალურ სასუქებს უშვებენ. უდიდესი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა სოფელში პარტიის კურსმა — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსმა.

საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი ამაყობენ იმით, რომ მათი შრომა უერთდება საბჭოთა ხალხის ისტორიული შემოქმედების საერთო მძლავრ ნაკადს და გარდაქმნის ცხოვრებას, აახლებს კომუნიზმის იდეალების გამარჯვებას დედამიწაზე. ყოველ დღეს და ყოველ საათს მოაქვს სასიხარულო ამბები მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საგმირო საქმეების შესახებ. სწრაფი ტემპით ვითარდება საბჭოთა საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, იფურჩქნება მეცნიერება და კულტურა, უფრო შემლებელი ხდება მშრომელთა ცხოვრება.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში 19 ივნისს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგმა მესამე სესიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული ხალხის რჩეულნი შეიკრიბნენ, რათა განიხილონ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

დილის 10 საათია. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **რ. რ. დვალი**, მისი მოადგილენი — დეპუტატები **ხ. ს. ბლაუბა, ვ. ვ. კულუმბეგოვი, ლ. ო. ლეონიძე, ე. ა. სალუქვაძე.**

მთავრობის ლოჟებში სხედან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. ჭ. მჟავანაძე, ჯ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ი. ფრუიძე, ო. თ. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.** საქართველოს სსრ მთავრობის წევრები — მინისტრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **რ. რ. დვალმა.**

ერთხმად დამტკიცეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. (საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს).

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. (საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს).

დამტკიცებენ სესიის მუშაობის რეგლამენტსა და დღის წესრიგს.

შემდეგ სესია იწყებს დღის წესრიგის საკითხების განხილვას.

სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ეძლევა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილს.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. რ. ხვედელიანი** (ნავთლუღის საარჩევნო ოლქი № 68, ქ. თბილისი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. მ. ბუაჩიძე** (ლ. კეცხოველის საარჩევნო ოლქი № 46, ქ. თბილისი), დეპუტატი **შ. ე. შარტავა** (ქალინინის საარჩევნო ოლქი № 327, ქ. სოხუმი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **დ. მ. მამულაძე** (ტრეხის საარჩევნო ოლქი № 380, აჭარის ასსრ), დეპუტატი **ნ. გ. გომელაური** (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი № 57, ქ. თბილისი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. ხომიზურაშვილი** (ქვემო ჭალის საარჩევნო ოლქი № 82, გორის რაიონი), დეპუტატი **ა. ი. კოსლატაძე** (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი № 368, ქ. ბათუმი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **თ. ე. ბელტიხინი** (სამრეწველო საარჩევნო ოლქი № 38, ქ. თბილისი), დეპუტატი **ა. ა. ასტვაცატუროვა** (5 დეკემბრის საარჩევნო ოლქი № 67, ქ. თბილისი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დილის სხდომა.

დღის 4 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ **ე. ა. სალუქვაძის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

გრძელდებოდა განხილვა მოხსენებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **დ. ვ. გელაშვილი** (ვარდისუბნის საარჩევნო ოლქი № 185, ყვარლის რაიონი), დეპუტატი **შ. დ. კიკნაძე** (თბილისის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **პ. გ. გელბახიანი** (ცაგერის საარჩევნო ოლქი, № 302, ზუგდიდის რაიონი), დეპუტატი **ვ. მ. გაგლოევა** (ლენინის საარჩევნო ოლქი № 392, ქალაქი ცხინვალი), დეპუტატი **ე. ა. ემინოვი** (სადახლოს საარჩევნო ოლქი № 137, ბოლნისის რაიონი), დეპუტატი **გ. ი. ზაუტაშვილი** (ყვარლის საარჩევნო ოლქი № 189, ყვარლის რაიონი), დეპუტატი **ა. ს. კიკნაველიძე** (მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქი № 269, მაიაკოვსკის რაიონი).

ორატორებმა ილაპარაკეს იმაზე თუ რა თავდადებულად იბრძვიან საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების შესანიშნავი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, შეიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებზე.

საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

მოხსენებისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა **ზ. ა. კვაკაძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო მათ გამო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია დახურულად ცხადდება.

(საქდესი).

იაპონიის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ხაიატო იკედას

მძიმე სტენიური უბედურების — ძლიერი მიწისძვრის გამო, რომელიც თავს დაატყდა იაპონიას, გიცხადებთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, გულწრფელ თანაგრძნობას.

გთხოვთ ჩვენი დიდი სამძიმარი გადასცეთ დაზარალებულთა ოჯახებს.

პატივისცემით

ნ. ს. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

1964 წლის 18 ივნისი.

აფხაზ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გახსნილია აფხაზ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია აფხაზეთის ფუნჯისა და საკრეთელის 39 ოსტატის დაახლოებით 300 ნამუშევარი. გამოფენა დაათვალიერა ათასობით თბილისელმა.

19 ივნისს აფხაზ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენას ეწვივნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, გ. ი. კუჭავა, ვ. ჭ. მჟავანაძე, ჯ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.** (საქდესი).

პრინცესა აშრაფ ფეჰლევი ერევანში გაფრინდა

ორ დღეს იყო საქართველოში ირანის შაჰის და პრინცესა აშრაფ ფეჰლევი თავის მეუღლესთან დოქტორ მეჰდი ბუშეჰრისთან და ვაჟიშვილ შაჰრამთან ერთად. 19 ივნისს დილით მისი უმაღლესობა სპეციალური ოვითფრინავით გაემგზავრა სომხეთის სსრ დედაქალაქ ერევანში.

საპატიო სტუმრის გასაცილებლად თბილისის აეროდრომზე მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაკაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ა. გიგოშვილი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ლ. ა. საყვარელიძე, ე. ა. სალუქვაძე, მ. ე. თოფურიძე, მ. ვ. ჩახავა, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ჯავახიშვილი, დ. ვ. ძოწენიძე, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პრინცესა აშრაფ ფეჰლევისთან ერთად ერევანში გაფრინდნენ მისი თანმხლები პირნი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს — რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ლ. პ. ლიკოკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე მ. მ. ვოლკოვი. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

დალუმის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში 1964 წლის 18 ივნისს

პატივცემულო დანიის სოფლის მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ბატონო ანდერსენ!

პატივცემულო პრემიერ-მინისტრო ბატონო კრაგ!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც დღეს ვნახეთ თქვენთან კუნძულ ფიუნზე. თავს ვხრი დანიის გლეხთა შრომის წინაშე, მეცნიერთა წინაშე, რომლებმაც ასე კარგად იშრომეს და შეიმუშავეს რეკომენდაციები თქვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის უკეთ წარმოებისათვის.

დღეს ვნახეთ ჩინებული, კარგად დამუშავებული ყანები, სუფთა და სწორი ნათესები, ამ ყანებში რომ გაივლი, ხედავ, რა ბევრი და სიყვარულით უშრომიათ ადამიანებს, რომლებიც მათ უვლიან. ანდაზაში ნათქვამია, ეშმაკიც კი შრომობს ჭაობში, მაგრამ რა ხეირიაო! შრომა გონივრულად უნდა. და თქვენი ყანები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ადამიანები აქ ძალიან გონივრულად შრომობენ. ვიმეორებ — ძალიან კარგი ნათესებია თქვენს ყანებში და მოსავალიც განსაცვიფრებელი გაქვთ.

თქვენს მეურნეობებში კარგი ჯიშის პირუტყვიც ვნახეთ. ჩვენ გვითხრეს, რომ თქვენი ძროხები დიდ ნაწველს იძლევიან, რომ რძეღალიანობის დიდი პროცენტია. თქვენ დიდი მიღწევები გაქვთ მეღორეობის განვითარებაში. ერთ-ერთ ფერმაში გვიჩვენეს ღორი, რომელმაც პირველი დადოლების დროს 15 გოჯი მოიგო. ეს პროდუქტიულობის კარგი მაჩვენებელია.

აღტაცებული ვართ დიდი წარმატებებით, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში გაქვთ. თქვენს მეცხოველეობის პროდუქტებს გემო გავუსინჯეთ დღეს სუფრაზე. და განა მარტო დღეს, უკვე რამდენიმე დღეა თქვენს ქვეყანაში ვიმყოფებით და თქვენი პროდუქტებით ვსაზრდოობთ. მაგრამ თქვენთან ჩამოსვლამდეც კარგად ვიცოდი დანიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაღალი ხარისხი. ჩვენ არ გაგვიგონია საბჭოთა ადამიანების შენიშვნები, როცა თქვენი გლეხებისა და მეცნიერების შრომით შექმნილ პროდუქციას ყიდულობენ.

მაგრამ მინდა გითხრათ ყველაფერი, რასაც ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ წარმოებს თქვენში სოფლის მეურნეობა. მე ხომ მე არ ვიქნებოდი, მარტო დაშაქრული ნიტყვები რომ მეთქვა და გულახდილად არ გამომეთქვა აზრი იმის გამო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენმა სოფლის მეურნეობამ.

როცა ზოგიერთ ბატონს ვესაუბრები აქ, დანიაში, ვგრძნობ, თითქოს ისინი ატარებენ სათვალეებს, რომლებიც დაუბინდავთ დასავლეთელ ჟურნალისტებს, ხშირად რომ არაკომპეტენტურად მსჯელობენ ამა თუ იმ ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობაზე და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, არ ვეხები აქ დამსწრე დასავლეთელ ჟურნალისტებს: ესენი გონივრული ადამიანები არიან და არასოდეს არ ცრუობენ, მხოლოდ სიმართლეს წერენ. (მხიარული გაძოცოცხლება დარბაზში). მე მხოლოდ იმ მატუყარებს ვეხები, რომლებიც სიცრუეს წერენ. (მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

გულახდილად გეტყვით, რომ ზოგიერთ თქვენგანს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე. ეს ძალიან საზიანოა. მოიკრიბეთ მამაცობა, პირდაპირ შეხედეთ ჭეშმარიტებას და ნუ შეგეშინებათ თქვენ სიმართლე, რა არის, თქვენი აზრით, კარგი და რა არის ცუდი. ჩვენ გაგებით მოვეკიდებით თქვენს აზრს. მაგრამ ვხედავ, რომ ზოგიერთ თქვენგანს არასწორი წარმოდგენა აქვს ჩვენს სოფლის მეურნეობაზე. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, მიწაზე მხოლოდ ვართ, და ამიტომ კაპიტალიზმის პირობებში გაზრდილ ყოველ ცხვარს თავს ვუკრავთ. (მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).

უკვე გითხარით, რომ კარგად გაქვთ დაყენებული მეღორეობა, მაგრამ ჩვენს ღორებსაც შეუძლიათ, ასე ვთქვათ, დაიცვან მეურნეობის გაძლოლის ჩვენი სისტემა და შეედავებიან თქვენს ღორებს. (მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

თქვენ კარგი სარძეო მეურნეობა გაქვთ. გყავთ კარგი ძროხები, რომლებიც დიდ ნაწველს იძლევიან. რძეს დიდი ცხიმიანობა აქვს. მაგრამ ამ დარგშიც რიდი ხართ მოხოპოლისტები, ბატონებო. ჩვენ წარმოვადგენთ აქ საბჭოთა კავშირს, რომელსაც აგრეთვე აქვს დიდი მიღწევები სარძეო მეცხოველეობის დარგში. შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ხარები თქვენი კაპიტალისტური ხარების წინააღმდეგ, და დაე შეეჯიბრონ ერთმანეთს. (მხიარული გამოცოცხლება).

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დიდი მიღწევები აქვთ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს ყველა სახეობის მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში, სასელექციო მუშაობის, მემცენარეობის დარგში.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ასეთი ფაქტი: შვიდი თუ რვა წლის წინათ პირველად ჩამოვიდა ჩვენში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ცნობილი ფერმერი ჰარსტი. მაშინ მე შავი ზღვის ნაპირზე ვისვენებდი, და ჰარსტი იქ მეწვია. ჩვენ ვისაუბრეთ მშვიდ ვითარებაში. არავის ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, იმიტომ რომ ჩვენთან ჟურნალისტები არ შემოუშვეს. (მხიარული გამოცოცხლება).

ჰარსტი მაშინ იმ აზრისა იყო, რომ ისეთ კვეყანაში ჩამოვიდა, სადაც კარგს ვერაფერს ვერ ნახავდა სიმინდის თესვა-მოყვანის დარგში, რომ მას, ასე ვთქვათ, უნდა მოვეხიბლეთ ამერიკის შეერთებული შტატების სიდიადით სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ვისაუბრეთ, და მე ვუთხარი:

— ბატონო ჰარსტ, წადით ჩვენს მეურნეობებში, კარგად ნახეთ ყველაფერი, რაც დაგაინტერესებთ, მერე კი შეეხვედეთ ერთმანეთს, და მაშინ ჩვენი საუბრები, ალბათ, უკვე სხვა დონეზე იქნება..

ასეც მოიქცა. როცა ჰარსტი ოდესაში გაემგზავრა, იქ ეწვია სელექციის ინსტიტუტს და ნახა სიმინდი „ოდესური-10“, მან აკოცა ამ სიმინდის ტაროს. ჰარსტი კი თავისი საქმის დიდი მცოდნეა.

მეორე შეხვედრა ჰარსტთან საბჭოთა ქვეყანაში მისი მოგზაურობის შემდეგ უკვე სხვანაირად მიმდინარეობდა — მან ბევრი რამ ნახა და გაიგო, რომ ჩვენ ბევრი კარგი რამ გვაქვს.

საუბრის დროს ვთქვარი:

— მოდით გავცვალოთ სიმინდის სასელექციო თესლი.

— არ შემიძლია, — მიპასუხა მან. — ჩვენში ეს აკრძალულია.

— თქვენი საქმეა, — ვუთხარი მაშინ, — გთავაზობთ სასელექციო თესლის გაცვლას, მაგრამ არ ვიცი, ამ გაცვლის შედეგად ვინ მოიგებს და ვინ წააგებს. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ თქვენ წააგოთ...

ზოგიერთი აქ, დანიაში, როცა სოფლის მეურნეობის დარგში თავის მიღწევებს გვიჩვენებს, ალბათ ფიქრობს — აი ჩამოვიდა ხრუშჩოვი, ახლა მას გავაკვირვებთ; საბჭოთა კომუნისტებს, თუმცა მათ მოიპოვეს ძალაუფლება, ხელთ უპყრიათ იგი, მაგრამ სოფლის მეურნეობაშიც ცოტა რამ ესმით, გავანათლებთ მათ...

მინდა გულახდილად ვუთხრა ასეთი ბატონებს — გაიღვიძეთ! ჩვენ წარმოვადგენთ სოციალიზმის დიად ქვეყანას! შეგვიძლია შეგეჯიბროთ სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში! აიღეთ სელექცია მემცენარეობაში, ჯიშების ხარისხი. „უფხო-1“ ჯიშის ხორბალი, რომელიც აკადემიკოსმა ლუკიანენკომ გამოიყვანა, ჰექტარზე იძლევა დაახლოებით 72 ცენტნერ მარცვალს. ამასთან, სრულიად არ ხდება ამ ხორბლის ჩაწოლა. ამ ხორბლის ფქვილს მშვენიერი საცხობი თვისებები აქვს.

შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა უკრაინელმა სელექციონერმა ვ. ნ. რემესლომ. მან გამოიყვანა საშემოდგომო ხორბლის ჯიში „მირონოვკა-808“, რომელიც ჰექტარზე 60 ცენტნერამდე მარცვალს იძლევა. ჩვენს ქვეყანაში ბევრია ასეთი გამოჩენილი სელექციონერი.

ჩვენმა ცნობილმა აკადემიკოსმა პუსტოვოიტმა შექმნა ისეთი ჯიშის მზესუმზირა, რომელიც 52-54 პროცენტ ზეთს შეიცავს. წინათ მსოფლიოში ასეთი მიღწევები არ ყოფილა.

ეს ტრაბახი კი არა, ფაქტების რეგისტრაციაა. ახლა ბევრი ქვეყნიდან მოგვმართავენ თხოვნით მივყიდოთ თესლი. ზოგიერთი თქვენგანი კი გვიყურებს როგორც, ასე ვთქვათ, მხობავ ადამიანებს სოფლის მეურნეობაში. ის, ვინც ასეთ პოზიციაზე დგას, შეპყრობილია ეროვნული შეზღუდულობის სენით. (მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. ტაში.) ასეთ ადამიანებს არა სურთ თავიანთ საზღვრებზე უფრო შორს გაიხედონ. ეს ძალიან მავნე ავადმყოფობაა. ასეთი სენით შეპყრობილთ პირდაპირ უნდა. ვუთხრათ: იმყურნალეთ, რაც უფრო ადრე განიკურნებით, მით უკეთესია თქვენთვის. (მხიარული გამოცოცხლება).

ვიმეორებ, დღეს თქვენში შესანიშნავი ყანები ვნახე. ჩვენ მოგვეცა საშუალება, გავცნობოდით თქვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის გაძღოლის გამოცდილებას, ამისათვის მადლობას ვუძღვნი პრემიერ-მინისტრს ბატონ კრაგს, სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ სკიუტეს, დანიის სოფლის მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ანდერსენს, ბატონ ერიკსენს და სხვა ფერმერებს, რომლებმაც თავიანთი მეურნეობანი გვიჩვენეს. ეს შესანიშნავი მეურნეობებია. მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ თქვენი მეურნეობების მასშტაბი არ გამოადგება ჩვენს ქვეყანას. თქვენს ფერმებს 10, 30 50 ჰექტარი აქვთ. ჩვენში ასეთი მეურნეობები არ არის, მეურნეობათა ასეთი მასშტაბი ჩვენი ქვეყნისათვის განვლილი ეტაპია. ჩვენს მეურნეობებს — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — აქვთ სულ ცოტა 500 ან 1.000 ჰექტარი, მსხვილ მეურნეობებს კი — 5 ათასიდან 20 ათასამდე ჰექტარი. აი ჩვენი მასშტაბები.

შეგიძლიათ გკითხოთ, რა მოსავალი გაქვთ, ეს ხომ მთავარიაო? როგორია თქვენში პროდუქტიულობა? ეს კანონიერი კითხვებია და ისინი მართლაც იბადება. დიახ, ჩვენს ბევრ მეურნეობაში მოსავლიანობა უფრო დაბალია, ვიდრე თქვენს ქვეყანაში. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ თქვენ ჰექტარზე 600 ან 1.000 კილოგრამი მინერალური სასუქები შეგაქვთ. მაგრამ თქვენ რომ არ გქონდეთ საშუალება ასეთი ოაოდენობით შეიტანოთ მინერალური სასუქები, როგორ გგონიათ, მიწა, რომელიც, როგორც იტყვიან, უფალმა ღმერთმა მოგცათ, ისეთსავე მოსავალს მოგცემდათ, როგორსაც ახლა იღებთ? რა თქმა უნდა, არა. გარწმუნებთ, ათ ცენტნერზე მეტ მარცვალს ვერ მოიყვანდით ჰექტარზე. ხოლო ჩვენ რომ გვქონდა შესაძლებლობა ამდენივე მინერალური სასუქები შეგვეტანა ჰექტარზე, მაშინ, გარწმუნებთ, ასეთივე და უფრო მეტი მოსავალიც გვექნებოდა, ვიდრე თქვენ! ჩვენ, ასე ვთქვათ, ჯიბეში ჩაგისვამდით! (მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).

გთხოვთ სწორად გამიგოთ, რატომ ვამბობ აქ ამას. არ მინდა ვიკვეხნიდე თქვენს ნინაზე: თქვენ სერიოზული ადამიანები ხართ და კარგად ეჩვევით სოფლის მეურნეობაში.

მე რომ რაიმე სისულელე ვთქვა ან დავიკვეხნო, ეს მეტად წვრილმანი და არასოლიდური იქნებოდა. თქვენთან ამისათვის როდი ჩამოვსულვარო.

ჩვენ მზადა ვართ შევისწავლოთ თქვენი გამოცდილება. თქვენ, ეტყობა საშუალოდ ჰექტარზე 30-35 ცენტნერი მარცვლეული მოგყავთ. ეს ცუდი შედეგი როდია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, თქვენ მინერალური სასუქები შეგაქვთ 600 და 1000 კილოგრამიც კი ჰექტარზე. ამერიკელებს მარცვლეულის ნათესში საშუალოდ ჰექტარზე 260 კილოგრამი შეაქვთ, და მარცვლეულის მოსავლიანობა იქ 17 ცენტნერია ჰექტარზე, სიმინდისა კი — 38 ცენტნერი. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობებში, იქ, სადაც მინერალური სასუქებით ვაპოხიერებთ ნიადაგს, ვიღებთ 50-60 ცენტნერ ხორბალსა და 100 ცენტნერ სიმინდის მარცვალს. როგორც ხედავთ, ჩვენც შეგვიძლია მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანა. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მუშაობენ, მივცეთ მოსავლიანობის გადიდების ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც მინერალური სასუქები და ჰერბიციდებია. სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება: შვიდი წლის მანძილზე ქიმიურ მრეწველობაში მინერალური სასუქების წარმოებისათვის დავაბანდოთ 10,5 მილიარდი მანეთი, რათა 1970 წელს ვაწარმოოთ 70-80 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შარშან აწარმოეს 35 მილიონი ტონა მინერალური სასუქები, ჩვენ კი 1970 წელს ვაწარმოებთ ერთიორად და უფრო მეტ სასუქს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები.

თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ აქ შედარების არათანაბარი პირობებია: თქვენთვის იღებთ სასუქის წარმოების დონედ 1970 წელს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში შარშანდელი წლის წარმოების დონესო. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სწრაფად ვერ განავითარებენ ამ დარგს, იმიტომ რომ მათ არა აქვთ გასაღების საშუალება, არა აქვთ მატერიალური დაინტერესება. რა თქმა უნდა, ისინიც მიაღწევენ რაღაც დონეს, მაგრამ მცირეს. ჩვენ კი, როგორც უკვე ვთქვი, 1970 წელს ვაწარმოებთ 70-80 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს.

საბჭოთა კავშირში ამეოაბად 200 მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავი მიწებია, და ამ მიწაზე მინერალური სასუქების შეტანილად საშუალოდ ჰექტარზე 9-10 ცენტნერ მარცვალს ვიღებთ. თუ მკვეთრად გავადიდებთ მინერალური სასუქების წარმოებას და შევიტანთ მარცვლეული კულტურების ნათესში, სწრაფად გავადიდებთ მოსავლიანობას და მაშინ საჭირო აღარ იქნება სახნავი მიწების ასეთი დიდი ფართობი მარცვლეული კულტურების მოსაყვანად. თუ მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 25-30 ცენტნერი იქნება, მარცვალს საჭირო რაოდენობით უფრო ნაკლებ ფართობზე მოვიყვანთ.

დღეს ჩვენ ვნახეთ თქვენი ძროხები, რომელთა რძეღალიანობა 5 და 6 პროცენტსაც აღწევს. ეს შესანიშნავი შედეგია. მაგრამ შეგვიძლია გაჩვენოთ ჩვენი ძროხებიც, რომელთა რძეღალიანობა 5,2-5,5 პროცენტია. ჩამოდით, ნახეთ.

რისთვის გიამბობთ ყოველივე ამას? მინდა, რომ ცოტა მაინც თვალი მოიფშვნიტოთ და ასე ქედმაღლურად არ გვიყურებდეთ, არამედ გვიყურებდეთ პირდაპირ, მაშინ გამოცდილების გაზიარებაც უკეთესი და უფრო ნაყოფიერი იქნება.

მე ხშირად მეკითხებიან: რატომ შეისყიდა საბჭოთა კავშირმა შარშან მარცვალი საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში?

დიახ, მართლაც, ჩვენ ვიყიდეთ დაახლოებით 12 მილიონი ტონა მარცვალი კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მთელ რიგ ძირითად რაიონებში ბალვა: იყო. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა მარცვლის მოსავალზე. გვალვამ ასე ძლიერი გავლენა მოახდინა მარცვლეულის მოსავალზე იმიტომ, რომ ჩვენს მეურნეობას ძველებურად ვაწარმოებდით: იწვიმებდა — უხვ მოსავალს ვიღებდით, დადგებოდა გვალვა — მცირე მოსავალი, მარცვლის ნაკლებობა იყო.

კვლავაც რომ არ გამეორდეს ეს, შევიმუშავეთ და დავიწყეთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ფართო გეგმის განხორციელება. ეს გეგმა, როგორ

ნ. ს. ხრუშჩოვისგამოსვლა

(დასასრული)

ფულს ვახმართ. ეს სადაზღვევო ნათესებია, აქ დამოკიდებული არა ვართ გვალვაზე, იმიტომ რომ თვითონ ვაწესებრიგებთ წყლის მიღებას. ასე რომ პურს ღმერთს კი არ შევეხვეწებით, არამედ საკუთარი მარჯვენით შევქმნით.

ჩვენ დავსახეთ ამოცანა შეეკმნათ მარცვლეულის საჭირო რეზერვები და მარადგად გვქონდეს ნახევარი ან მთელი წლიური მოთხოვნილების პური. ჩვენი სოციალისტური მეურნეობა არ უნდა იყოს დამოკიდებული კაპიტალისტურ მეურნეობაზე, იმაზე, რასაც მოგვყიდიან. თქვენ ალბათ გსმენიათ, რომ როცა ვეძებდით ბაზარს, რომ პური გვეყიდა გასულ წელს, კანცლერმა ადენაუერმა განაცხადა — არ მიჰყიდოთ რუსეთს პური, დე პოლიტიკური დათმობანი მოახდინოსო. მე ვეტყოდი ასეთ კაცს კოლოფებს, ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს: უმალ ჭიები შეჭამენ მათ მიწაში, ვიდრე საბჭოთა კავშირი დათმობას მოახდენდეს ძირეულ პრინციპულ საკითხებში.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კლიმატური პირობების შესაძლო ცვალებადობა. ასეთი ცვალებადობა კი შეიძლება ყოველთვის იყოს, ეს საკუთარი გამოცდილებით იცით, რადგან თქვენს სოფლის მეურნეობაზეც ახდენს გავლენას ამინდის პირობები. იმისათვის, რომ არ ვიყოთ დამოკიდებული კლიმატურ ცვალებადობაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეზერვები უნდა გვქონდეს და ჩვენ გვაქვნია ასეთი რეზერვები. ეს იქნება ჩვენი ჯავშანი, რომელიც დაგვიცავს ბუნების ყოველგვარი კაპრიზისაგან.

ახლა შეეხები ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიმართულებას. მთავარი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. ჩვენ, მაგალითად, ვისწრაფვით გადავდიდეთ ღორის ხორცის, კვერცხისა და ფრინველის ხორცის სამრეწველო წარმოებაზე.

ამას წინათ ვესაუბრე ამერიკის ერთ-ერთი ფირმის პრეზიდენტს, რომელსაც სურს მოგვყიდოს ღორის ხორცის წარმოების ქარხანა. ამ ქარხანაში ყოველწლიურად გავზრდიდთ ახ-ას კილოგრამიან 250 ათას ღორს. ამასთან საკვების ხარჯვა 3 კილოგრამი იქნება კილოგრამ წონამატებაზე. ქარხნის მთელი მომსახურე პერსონალი 126 კაცი იქნება.

როცა ამ ამერიკული ფირმის პრეზიდენტს ბ-ნ ფინლის ვესაუბრებოდი, მან მითხრა, სიმინდის თესვა-მოყვანა ჰარსტის, ფერმერის საქმეა. ღორის ხორცის წარმოება კი საინჟინერო საქმეთა.

ასეთივე საინჟინრო საქმეა ახლა ფრინველის ხორცის წარმოებაც. რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ამერიკელებისაგან ვიყიდეთ მეფრინველეობის ფაბრიკა. მაგრამ მომჭირნეობის მიზნით არ ვიყიდეთ ზოგიერთი აგრეგატი. მე ძალიან გავაკრიტიკე ისინი, ვინც ეს ქნა, — ისინი უგუნურად მოიქცნენ. შედეგი ის იყო, რომ როცა ეს ფაბრიკა აამუშავეს, მას არ მოუცია ის მაჩვენებლები, რომელთა რეკლამას ეწეოდა ამერიკის ფირმა. ამერიკაში ასეთ ფაბრიკაში ერთი კაცი 100 ათას ქათამს უვლის, ჩვენში კი — 20 ათას ქათამს ესე იგი ხუთჯერ ნაკლებს. ამერიკელები 1 კილოგრამ წონამატებაზე 2,5 კილოგრამ საკვებს ხარჯავენ, ჩვენში კი 3,5 კილოგრამი იხარჯება. ჩვენ ვიცით, რატომ ხდება ასე, ვიცით, რა წამალი უნდა ვიხმაროთ, რომ განვიკურნოთ. ჩვენ ვიყიდით დამატებით აგრეგატებს, ავადგმთ ზუსტ ტექნოლოგიურ ხაზს და გვექნება ფაბრიკა ისეთივე მაჩვენებლებით, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ ბრიტანეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში. ჩვენ შევისწავლეთ ინგლისის ფირმების კონკრეტული წინადადებანი.

ჩვენ გვიზიდავს დიდი მასშტაბის მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, ოღონდ ეს ასეთი მეურნეობა არა გაქვთ, იმიტომ რომ ძირითადად თქვენი მეურნეობები წვრილი მეურნეობებია, თუმცა ძალიან პროდუქტიული. მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა თანაბარ პირობებში მსხვილი მექანიზებული მეურნეობა უფრო პროდუქტიული იქნება, ვიდრე წვრილი მეურნეობა.

საბჭოთა კავშირი დანიისაგან ყიდულობს სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროდუქტებს, და ალბათ კიდევ ვიყიდით თქვენგან ამ პროდუქტებს გარკვეული დროის განმავლობაში. მაგრამ არ მინდა ჩაგინერგოთ ილუზიები და დაგპირდეთ, რომ ყველაფერს ვიყიდით თქვენგან. თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა თვითონ არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტრადიციული ექსპორტიორი. თუ ახლა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს კი არ ვყიდით, არამედ ვყიდულობთ, ეს უწინარეს ყოვლისა წარსულის შემკვიდრეობის შედეგია, როცა სოფლის მეურნეობა სტალინის შეცდომების გამო დიდხანს იყო უყურადღებოდ მიტოვებულ მდგომარეობაში.

ჩვენ ვცდილობთ მკვეთრად გავადიდოთ მინერალური სასუქების წარმოება და ვაბორციელებთ სხვა ღონისძიებებს, რათა მოკლე ვადაში გავაორთვათ თავი დროებითს სიძნელეებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში შეგვექმნა. ხმას ჩავაკმენდინებთ იმათ, ვინც ცილს სწამებს სოციალიზმს და ამტკიცებს, რომ სოციალისტური სისტემა ვერ გაართმევს თავს სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანებს.

არ მინდა დავაშინოთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არ უნდა გქონდეთ იმედი, რომ საბჭოთა კავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ფართო ბაზარი იქნება. სწორად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყანა იყო და ახლო მომავალში, რა თქმა უნდა, იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ექსპორტიორი. მაგრამ თუ წარმოიშვა საკითხები ამ ნიადაგზე, მაშინ ჩვენი მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში მათი მოგვარება, რა თქმა უნდა, ყოველთვის შესაძლებელი იქნება.

ამასთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემ გამოვთქვა ზოგიერთი მეგობრული რეკომენდაცია. მხოლოდ ისე არ გამიგოთ, თითქოს რაღაც პოლიტიკური მოტივებით ვხელმძღვანელობდე. თუ გსურთ გქონდეთ თქვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების დამატებითი საიმედო და მტკიცე ბაზარი, დაამყარეთ სავაჭრო ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, დაამყარეთ კარგი სავაჭრო ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან. რატომ სწორედ ამ ქვეყნებს ვასახელებ? იმიტომ რომ ესენი არიან დიდად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები, რომლებსაც ცხოვრების მაღალი დონე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი მოხმარება აქვთ. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწებით უზრუნველყოფა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 0,13 ჰექტარია, ჩეხოსლოვაკიაში — 0,14. ჰექტარი.

ვინც ფიქრობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებს და შეიტყობს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაქრა, ღრმად ცდება. ჩვენ შევგიძლია განვუცხადოთ ასეთ ადამიანებს, რომ უმალ თვითონ გაქრებიან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კი განვითარდება და აყვავდება! დანიისათვის ეს ძალიან კარგი პარტნიორია ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებაში.

მეგობრებო! მთელი გულახდილობით მინდა გითხრათ: თუ სოფლის მეურნეობის დარგში შვიდი წლის შემდეგ ან ხუთი წლის შემდეგ ისეთივე მდგომარეობა გვექნება, როგორც ახლა, მაშინ შეგიძლიათ თქვათ, თქვენ, კომუნისტები, უპასუხისმგებლოდ ლაპარაკობთო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს დროში მივაღწევთ ჩვენი სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას და ყველას დავანახვებთ, რა ძალუძს საბჭოთა სოციალისტურ სოფლის მეურნეობას!

ჩაიწერეთ ეს როგორც ჩემი ვალდებულება!

ახლა მხოლოდ სოციალიზმისადმი ღვარძლითა დაბრმავებულ ადამიანებს შეუძლიათ იუვირონ, თითქოს სოციალისტური სისტემა სიცოცხლისუნარიანი არ იყოს. ეს, რა თქმა უნდა, ახალი პანგები როდია. ხომ იყვნენ ისეთები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხერიოზულად მოელოდნენ, რომ შესაძლოა ერთ ან ორ კვირას „ინტერვენტ" რუსეთში ბოლშევიკებმა, მერე კი ადარ იქნებიანო. (ხმიარული გამოცოცხლება). მაგრამ ხომ ხედავთ, რამდენს „ვნებიერობთ!" ორმოცდა შვიდი წელია! და არა მარტო დედამიწაზე, არამედ კოსმოსშიც. ახლო მომავალში კი ვაპირებთ მთვარეზე გაფრენას, საცხოვრებლად კი არა, არამედ იმისნახავად, თუ რა ხდება მთვარეზე. (ხმიარული გამოცოცხლება). და ჩვენ მივაღწევთ მთვარეს. (ტაში).

ხოლო ვინ იქნება იქ უფრო ადრე — ჩვენ თუ ამერიკელები — ამას ცხოვრება გვიჩვენებს. ამერიკელებს სურთ უფრო ადრე — სცადონ. ჩვენ მაშინ მათს გამოცდილებას გამოვიყენებთ და აუცილებლად გავფრინდებით მთვარეზე.

მეგობრებო! არ ვიცი, ამ ჩემი გულახდილი გამოსვლის შემდეგ როგორ შეაფასებთ დღეგანდელ შეხვედრას. მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორად გამიგეთ. (ტაში). ერთხელ კიდევ მთელი გარკვეულობით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ როგორც ვიყავი ძალიან კარგი აზრისა დანიელ ხალზე, თქვენს მიდწყვეტზე სოფლის მეურნეობის გაძღოლაში, ასევე დავრჩი. უფრო მეტიც, ახლა კიდევ უფრო განმიმტკიცდა ეს აზრი. ჩვენი ხალხი უფდამ დიდ დიპატივს სცემდა დანიის მუშათა, გლეხთა, ინჟინერთა, მეცნიერთა შრომას, დანიელი ხალხის შრომასა და წარმატებებს.

ჩვენს ქვეყნებს შორის უნდა გაიზარდოს და განმტკიცდეს საქმიანი ურთიერთხელსაყრელი კავშირი. ამის კონკრეტული დადასტურებაა ის, რომ გუშინ, მაგალითად, ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს იმის შესახებ, რომ თქვენი გემთსამშენებელო საწარმოები ჩვენი შეკვეთით საბჭოთა კავშირისათვის დამატებით ააგებენ 4 გემს. ჩვენ, ალბათ, თქვენგან ვიყიდით რძის, პროდუქტებს, ხორცის პროდუქტებს. ვერ ვიტყვი, რომ ასეთ საქონელს ჩვენ ვიყიდით მარტო წელს; შეიძლება შემდგომაც ვიყიდოთ ასეთი საქონელი. მეტს ვიყიდით თუ ნაკლებს — ეს დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებიც ჩვენს სოფლის მეურნეობაში შეიქმნება.

მე აქ ასეთი საუბრის მოწმე ვიყავი: როცა მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში გვალვამ გადაწვა ნათესები, ზოგიერთ დანიელ ექსპორტიორს გუნება უუმჯობესდება. (ხმიარული გამოცოცხლება). მაგრამ თუ თქვენ ღმერთს შესთხოვთ, რომ ჩვენში მზემ გადაწვას ნათესები, იმედი გაგიცრუვდებათ. ჩვენ ძალლონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენში წელს მოუსავლიანობა არ იყოს.

ამბობენ, აი ღმერთი ზეცაშია, იქიდან ყველაფერს ხედავსო. რომ შეგვემოწმებინა, ასეა თუ არა ეს, კოსმოსში გავგზავნეთ ჩვენი პიონელი კოსმონავტი, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე. შემდეგ კი ქალი, რომელსაც როგორც უფრო მზრუნველ დიასახლისს, უკეთ უნდა დაეთვალიერებინა ყველაფერი. მათ ნახეს, თუ რა არის კოსმოსში. დაბრუნდნენ დედამიწაზე და გვითხრეს: სიცარიელეაო, (ხმიარული გამოცოცხლება).

თუ ვილაპარაკეთ ჩვენს ქვეყანაში წლევანდელი ნათესების მდგომარეობაზე, არ ვუჩვენით. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში უკვე წარმოებს ქერის, ხორბლის მოსავლის აღება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ცნობები, რომლებსაც ციმბირიდან ვიღებთ, აგრეთვე გვახარებს. მაგრამ ახალი მოსავლის შეფასებას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ამას ბლეხები შვრებიან. ისინი მოსავალს მაშინ აფასებენ, როცა ბეღლებში შეინახავენ, ხოლო სანამ მოსავალი მინდორშია, იგი სხვადასხვა მერყეობას განიცდის.

დასასრულ ერთხელ კიდევ მინდა გითხრათ, რომ დანიის სოფლის მეურნეობის გაცნობამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარებთ გამოცდილებას მეცნიერული და სახელმეწიფო მეშაობის დარგში, ჩვენ გარკვეული რაოდენობით ვიყიდით თქვენს ჯიშიან პირუტყვს, განსაკუთრებით მერძეულ პირუტყვს, ღორებსაც, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, არც ჩვენი ღორები გვიმტკუნებენ. მე მითხრეს, ბატონო პრემიერ-მინისტრო, თითქოს თქვენში არის კანონი, რომელიც კრძალავს ჯიშიანი ღორების ექსპორტს.

მაპატიეთ, თუ თავს ნებას მივცემ გავაკრიტიკო თქვენი კანონები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს არც თუ ისე გონივრული კანონია. თუ ჩვენ დაგვჭირდება ჯიშიანი ღორების ყიდვა, მაგალითად, ინგლისელები, დიდი სიამოვნებით მოგვყიდიან. მაგრამ არ მინდა ჩავეერიო თქვენს საშინაო საქმეებში, თქვენ თვითონ გიერკვეთ საკუთარ კანონებში. (ხმიარული გამოცოცხლება დარბაზში).

გმადლობთ გულთბილი, გულითადი მიღებისათვის. ნება მიბოძეთ მოგესალმოთ საბჭოთა ადამიანების სახელით, რომლებსაც ახარებთ თქვენი წარმატებანი და სურთ, რომ წარმატებანი კიდევ უფრო მეტი იყოს. ჩვენ გვინდა თქვენთან მშვიდობით და მეგობრობით ვიცხოვროთ; ეს სასარგებლოა თქვენი ხალხისათვის, ეს სასარგებლოა ჩვენი ხალხისათვის, ეს სასარგებლოა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

გმადლობთ ყურადღებისათვის! (მეუხარე ხანგრძლივი ტაში).

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ე. ო. კრაგის მოლაპარაკება

კოპენჰაგენი, 19 ივნისი. (საკდესი). დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და დანიის პრემიერ-მინისტრ ე. ო. კრაგის მოლაპარაკება, რომლის დროსაც მათ გულახდილად გაუზიარეს აზრი ერთმანეთს ურთიერთსაინტერესო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირისა და დანიის ურთიერთობას შეეხება.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში.

კოპენჰაგენი, 19 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნ. ჰ. ხრუშჩოვამ სასტუმრო „ანგლეტერში" დღეს გამართეს საუზმე, რომელზეც იყვნენ დანიის პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი მეუღლითურთ, დანიის მთავრობის წევრები და სახელმწიფო მოღვაწენი.

საუზმის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ე. ო. კრაგმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მთავრობას რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დღეგანდელ სესიაზე განსახილველად შემოაქვს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა. სესიაზე ამ საკითხის განხილვის უაღრესად დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შენიშვნები და წინადადებები, სესიის გადწყვეტილება, უეჭველია, სერიოზულ დახმარებას გაუწევენ ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს, სამრეწველო საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს თან ყოველდღიურ მუშაობაში სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ამჟამად ჩვენს დიდ ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შვიდწლედისათვის თავდადებით იბრძვიან საქართველოს მშრომელებიც, რომელთაც ამ საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. საკმარისია ითქვას, რომ შვიდწლედის გასული ხუთი წლის განმავლობაში — 1959-1963 წლებში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციამ საკონტროლო ციფრებთან გათვალისწინებულ რაოდენობას 103 მილიონ მანეთით გადააჭარბა.

საგრძნობია რესპუბლიკის მიღწევები სოფლის მეურნეობის მთელ რიგ წამყვან დარგებშიც. ასე, მაგალითად, ჩაის რაიონების მშრომელებმა უკვე 1963 წელს მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და ამით შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნაზე გამოვიდნენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატებანი მშრომელთა კეთილდღეობის გაუჯობესების საქმეში. აქ, კერძოდ, შეიძლება მივუთითოთ ისეთ გადამწყვეტ მაჩვენებელზე, როგორიც არის ბიხათმშენებლობის გეგმის შესრულება. 1959-1963 წლების მანძილზე რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში აშენდა და საიქსპლოატაციოდ გადაეცა 3.204 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — 581 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამავე დროს განმავლობაში კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში აიგო 53 ათასი ინდივიდუალური სახლი.

საბჭოთა კავშირი დღეს შვიდწლედის დამამთავრებელ ეტაპზე იმყოფება. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის პასუხისმგებლობას დარჩენილი დროის განმავლობაში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ყველა დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ მოვახსენო სესიას, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ხსენებულ დავალებათა რეალიზაციისათვის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმა რესპუბლიკის VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დამტკიცდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახალხო მეურნეობის განვითარების ორი წლის გეგმა ერთად იქნა მიღებული. გეგმების შედგენისა და დამტკიცების ამ წესს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გახელმეწიფებლობის პრინციპის განხორციელებისათვის. ამით შესაძლებელი ხდება უკვე 1964 წლის გეგმაში ისეთი მოსამზადებელი სამუშაოების გათვალისწინება, როგორიც არის საპროექტო დოკუმენტაციის დროულად შედგენა და დამტკიცება, ახალი ტექნიკის დასაწერგავად წინასწარ მომზადება, ისეთ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულება, რომელთა საფუძველზე მომდევნო წელს შესაძლებელი იქნება სათანადო ღონისძიებათა განხორციელება, და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1964-1965 წლების გეგმის შედგენას საფუძვლად დაედო ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებანი 1964-1965 და შემდეგი წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ. ამ მითითებათა შესაბამისად ძირფესვიანად გადაისინჯა დაგეგმვის პრინციპები და უწინარეს ყოვლისა ლიკვიდირებულ იქნა გეგმის შემუშავების წინანდელი პრაქტიკის ყველაზე არსებითი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მგეგმავი ორგანოები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების მაჩვენებლის განსაზღვრისას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მრეწველობის პროგრესული დარგებისა და წარმოების ცალკეული სახეების უპირატეს განვითარებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების გეგმა დაეგმვის ახალი პრინციპების საფუძველზე შედგა. იგი დაწერილებით მოხსენდა VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას და ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია ყველა მისი ძირითადი მაჩვენებლისა და დავალების გამეორება. მეჩერდები მხოლოდ შვიდწლედის ამ ორი დამამთავრებელი წლის გეგმის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მომენტზე.

გეგმაში პირველ რიგში სათანადოდ აისახა რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები ქიმიური მრეწველობის განვითარების ხაზით. როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის IV კვარტალში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში ამოქმედდა კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსი. ახლა მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ ჩვენმა ქიმიკოსებმა სრულყოფილად აითვისონ ეს წარმოება.

კაპროლაქტამი რუსთავის სინთეზური ბოჭკოების ქარხნის ძირითადი ნედლეულია. სახალხო-სამეურნეო გეგმით ამ ქარხნის ნაწილობრივ გადაცემა საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლისათვის არის გათვალისწინებული.

ამ ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზრდება აზოტოვანი სასუქების და ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ბევრი სხვა სახეობის წარმოებაც.

1964-1965 წლების გეგმა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის შემდგომ სწრაფ განვითარებას. ამ დარგებში გაღრმავდება წარმოების სპეციალიზაცია, გაუჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები, მკვეთრად ამაღლდება მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე.

ელექტროენერგეტიკის დარგში მთავარი ამოცანებია თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრება და ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობის დაჩქარებული ტემპის გაძლიერება. როგორც მოგეხსენებათ, ამ ჰიდროსადგურის სიმძლავრე 1.600 ათას კილოვატს აღემატება. მის დროულად ამუშაებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფად ელექტროენერგიით, არამედ აგრეთვე ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემის მუშაობის რეგულირებისათვისაც.

1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმით მრეწველობის განვითარების დავალებათა შესრულების შედეგად შვიდწლედის ასპექტში ყველაზე დიდ ზრდას მოგვცემს ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდება შვიდწლედის დავალებები შავი მეტალურგიის, ცემენტისა და ასაწყობი რკინაბეტონის, აგრეთვე სახალხო მოხმარების მთელი რიგი საგნების წარმოების დარგში.

რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქცია უნდა გადიდდეს წინა წლთან შედარებით: 1964 წელს — 4,3 პროცენტით, ხოლო 1965 წელს — 16,3 პროცენტით. 1964 წლისათვის დაგეგმილი პროდუქციის ზრდის შედარებით დაბალი ტემპი იმით აიხსნება, რომ გასულ წელს ყურძნის, ხილისა და თამბაქოს მცირე მოსავალმა დიდად შეაფერხა ღვინის, თამბაქოსა და საკონსერვო მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულით.

უაღრესად პასუხსაგები ამოცანებია დასახული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წ. დეკემბრის და 1964 წ. თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ქიმიზაციისათვის. დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული საირიგაციო სისტემების მშენებლობისა და ახალი სარწყავი ფართობების ათვისების მიმართულებით. 1966 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ვეშო სამგორის სარწყავი სისტემა, რის შედეგადაც მოირწყვება 35 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. 1965 წლიდან კი დაიწყება რესპუბლიკაში ყველაზე დიდი — ზემო ალაზნის საირიგაციო სისტემის მშენებლობა, რომლის პირველი რიგის ამოქმედება უზრუნველყოფს 42 ათასი ჰექტარი მაღალეფექტიანი მიწების გაწყლოვანებას და ამ ფართობებზე სამრეწველო მნიშვნელობის ვენახების, ბოლოსა და სხვა ტექნიკური მნიშვნელობის კულტურების გაშენებას.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა 1964 წლისათვის ითვალისწინებს 374,6 მილიონი მანეთის ათვისებას, რაც 17,5%-ით აღემატება 1963 წლის ფაქტიურ შესრულებას, გათვალისწინებულია 412,5 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდების ამოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად ამ ორ წლის 1 კვარტალში მოხდება დაბანდებათა კონცენტრაცია გარდამავალ ობიექტებზე და ამ გზით მკვეთრად შემცირდება დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობა. 1963 წელთან შედარებით გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება ისეთ პროგრესულ დარგებში, როგორიც არის ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა; იზრდება კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

1964-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის შესრულების შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით განსაზღვრული ასთვისების ზრდა 1965 წლისა და 1966 წლის 1 იანვარ-ისთვის 1,5-ჯერ გაიზარდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამმართველობის, ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების შექმნას.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებია მრეწველობის მთელი რიგი დარგების წარმოებისა და შრომის მაჩვენებლების დაგეგმვის საქმის მოგვარებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს წლიური დავალებების სწორ განაწილებას კვარტალების მიხედვით, გამოავლინოს და გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები, დანერგოს ახალი ტექნოლოგიური პროცესები, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია და ფართოდ გამოიყენოს ახალი სახეობის ნედლეული და მასალები, მკვეთრად შეამციროს წარმოების დანაკარგები და სხვა.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული თვითღირებულების მაჩვენებლები არ შესრულდა და ჩვენს მრეწველობაში გადახარჯული ხუთი მილიონი მანეთი: აქედან 3,8 მილ. მანეთი სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მიერ.

თვითღირებულების მიხედვით პირველ კვარტალში სრულიად არადამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებსაც.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების 1,8 პროცენტით შემცირების ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად დაშვებულია სამუშაოთა გაძვირება 1,1 პროცენტით.

უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სისტემატურად იზრდება სახალხო მეურნეობის დარგთა რენტაბელობა, მცირდება ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ზარალი და სახელმწიფო დოტაციას იღებდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1960-1963 წლებში განხორციელებულ ფინანსურ-ეკონომიურ ღონისძიებათა შედეგად ასეთ საწარმოთა რიცხვი 44-ით, ხოლო სახელმწიფო დოტაციის თანხა 17,1 მილიონი მანეთით შემცირდა. მიუხედავად ამისა, საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მაინც ზარალით მუშაობს.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, ლაბორატორიებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და საკონსტრუქტორო ბიუროებში მიმდინარე წლის დადგენდნენ გაბშალა შემოქმედებითი მუშაობა მანქანებისა და მოწყობილობის ახალი კონსტრუქციებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვისათვის.

მართალია, წლის პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 28 სახელწოდების ახალი სახის მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოებისა და მასალების საცდელი ნიმუშების ნაცვლად ფაქტიურად თვისებულია 15 ნიმუში, მაგრამ ყველა საფუძველია ვიფიქროთ, რომ საცდელი ნიმუშების დამზადების წლიური გეგმა შესრულდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაგეგმვის ცენტრალიზაციამ და მრეწველობის დარგობრივი კომიტეტებისათვის სათანადო ინსტიტუტების დაქვემდებარებამ ნამდვილად კარგი შედეგი გამოიღო. მართალია, ჯერ კიდევ აქვ' ადგილი ზოგიერთ სამუშაოთა შეუსრულებლობას, მაგრამ ვფიქრობ, უახლოეს დროში ეს ნაკლი გამოსწორდება.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

მრეწველობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ბიუჯეტებიდან 1964 წლისათვის დაფინანსებული გეგმის შესაბამისად დადგენილი საწარმოო დავალებანი მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში შესრულებულია 102,8 პროცენტით, აქედ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

(დასასრული)

ამხანაგო დეპუტატებო, როგორც ხედავთ, ჩვენს მრეწველობას სერიოზული მიღწევებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლიც ახასიათებს. აშკამად სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი სამმართველოების, ტრესტებისა და საწარმოთა ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გამოავლინონ წარმოების ყველა შესაძლებლობანი და რეზერვები, სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ წარმოების ცალკეული დარგების ხელმძღვანელობა იმ ვარაუდით, რომ არა მარტო უზრუნველყონ 1964 წლის საწარმოო გეგმების შესრულება, არამედ დიდი გადაჭარბებით გაანაღდონ წლიური დავალებანი როგორც რაოდენობრივად, ისე ასორტიმენტით და, რაც მთავარია, მკვეთრად გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ამ ღონისძიებათა განხორციელება საუკეთესო საწინდარი იქნება იმისა, რომ 1965 წლის და მომდევნო წლების გეგმებიც მაღალი მაჩვენებლებით იქნება შესრულებული.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმა მთლიანად აგებულია საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე. გეგმის შედგენისას ძირითადად გათვალისწინებულ იქნა ის საწარმო შესაძლებლობანი, რომელნიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებოდათ.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის თებერვლის პლენუმმა გაშლილი ღონისძიებები დასახა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდმა ნაწილმა მოკლე ვადებში ხარისხიანად ჩაატარა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა, ნარგავებში სასუქების შეტანა, ბაღებისა და ვენახების საგაზაფხულო დამუშავება. საქსოფლტექნიკის ბაზებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დროულად და ხარისხიანად ტარდება ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა: უკეთ დაეუფლა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების წესებს, ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ შხამ-ქიმიკატების მოხმარების კულტურა, უფრო სრულყოფილად ინერგება მექანიზაცია აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებაში, რის შედეგადაც ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს კარგი პირი უჭირს. ნაგვიანევმა გაზაფხულმა წელს საგრძნობლად შეაფერხა ჩაის კრეფის დროულად დაწყება, რის შედეგადაც პირველ ხანებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის საქმე გასულ წელთან შედარებით ჩამორჩებოდა, მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების მძირული შრომის შედეგად ეს ჩამორჩენა მოკლე დროში იქნა დაძლეული. 18 ივნისისათვის მოკრეფილია 82.605 ტონა ანუ 5.500 ტონით მეტი გასულ წელთან შედარებით. მეჩაიეთა ორგანიზებული და თავდადებული შრომა იმის საწინდარია, რომ წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად იქნება განაღდებული.

შირაქში და რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონში ქერისა და ხორბლის, განსაკუთრებით კი „უფბო-1"-ის მოსავალს კარგი პირი უჭირს. ბევრგან იგრძნობა ბეჯითი ხელი სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, საკვები და სხვა კულტურების დამუშავებაში. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა რომ მოწინავე მეურნეობებთან ერთად კარგად იყენებდეს რეზერვებს, გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იქნებოდა წარმოებული. ვისთვის არ არის ცნობილი, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ უყაირათოდ იყენებენ მინერალურ სასუქებს, ადგილი აქვს სასუქების ხარისხის გაუარესებას შენახვის წესების უხეში დარღვევის შედეგად, ზოგიერთ მეურნეობაში ეფექტიანად არის დაყენებული ორგანული სასუქების გამოყენების საქმე — არ არის მოწყობილი ნაკელსაცავები, იკარგება ბევრი ფუნწუხი და ამის შედეგად მეურნეობები ხელიდან უშვებენ მოსავლის გადიდების უძვირფასეს შესაძლებლობას.

მეურნეობათა ხელმძღვანელების დიდ უდარდელობას მიეწერება ის ფაქტი, რომ ბევრ კოლმეურნეობაში დაგვიანებით დაითესა საგაზაფხულო კულტურები, ხოლო ზოგან სიმინდის, კარტოფილის, ძირხვენებისა და სხვა კულტურების თესვა დამთავრებულიც კი არ არის. საჭიროა საწარმოო სამმართველოებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები თესვის დამთავრებისა და ნთესვების ყველა აგროტექნიკური წესების მიხედვით დამუშავების უზრუნველსაყოფად.

გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკაში ბოსტნეულის თესვა უკეთესად ჩატარდა. ეს განსაკუთრებით ითქმის საბჭოთა მეურნეობებზე. ახლა მთავარია ნთესვების დამუშავება და ბოსტნეულის რეალიზაციის ისე მოწყობა, რომ ჩვენი ქალაქების მოსახლეობამ აშკარად იგრძნოს ბოსტნეულით უზრუნველყოფის გაუმჯობესება. ამასთან უფრო თანმიმდევრულად და სრულყოფილად უნდა დავაკმაყოფილოთ მრეწველობა ბოსტნეულის ნედლეულით.

1963 წელს რესპუბლიკას დიდი გარღვევა ჰქონდა თამბაქოს წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების გეგმის შესრულებაში. ამის ძირითადი მიზეზი იყო თამბაქოს ჩითილისა და პლანტაციების დაზიანება პერენოსპოროზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თხოვნით საკავშირო მთავრობამ რესპუბლიკას დამატებით და საკმაო რაოდენობით გამოუყო პერენოსპოროზის წინააღმდეგო შხამ-ქიმიკატები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროულად უნდა ჩაატაროს თამბაქოს პლანტაციების შეწამვლა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი. თამბაქოს ყოველი მცენარე მოვლილ უნდა იქნას გულმოდგინედ, არ უნდა დავუშვათ დანაკარგები თამბაქოს მოსავლის აღებისა და მისი შრობის დროს. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მეფამბაქოეები გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმებს. ამ საქმეში კი პირველი სიტყვა აფხაზეთის მეთამბაქოეებს ეკუთვნით.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი დარგია.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები სრულ შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ გერანის, რეჰანისა და სხვა ეთერზეთოვანი კულტურების მაღალი მოსავალი, რესპუბლიკა სისტემატურად ვერ ასრულებს ნედლეულის წარმოების გეგმებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამ კულტურებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

საჭიროა ბოლო მოეღოს აგროტექნიკის იმ უხეშ დარღვევებს, რასაც ადგილი აქვს ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის მწარმოებელ მეურნეობებში. ეს საშუალებას მოგვცემს შეეასრულოთ ნედლეულის დამზადების გეგმა, როგორც მთლიანად, ისე თვითეული კულტურის მიხედვითაც. მომდინარე წელს რესპუბლიკაში დამზადებულ უნდა იქნას 20.200 ტონა ნედლეული ანუ 4.200 ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს შეგასრულოთ ეს გეგმა. ამისათვის დროულად უნდა ჩავატაროთ ამ კულტურების პლანტაციების მოვლის ყველა სამუშაო.

თბილისში ამუშავდა პარფიუმერიის მძლავრი საწარმო, რომლის ნედლეულით უზრუნველყოფა, აგრეთვე რესპუბლიკის გარეთ ეთერზეთების გატანის გეგმის შესრულება ჩვენი გადაუდებელი და დიდი მნიშვნელობის საქმეა.

ამ დარგის განვითარების აუცილებლობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 1967 წელს თბილისში განზრახულია მსოფლიო კონგრესის ჩატარება ეთერზეთების წარმოების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ციტრუსოვანი ნარგავების ფართობი ბევრ ადგილას ეჭიხნა სუბტროპიკულ კულტურებზე, ტემპერატურის დაცემამ მინუს 12 გრადუსამდე საგრძნობლად დააზიანა ციტრუსების, დაფნის და ტუნგოს ნარგავები. წინასწარი მონაცემებით ყინვისაგან სხვადასხვა სიძლიერით დაზარალდა ციტრუსოვანი ნარგავების 70 პროცენტზე მეტი. განსაკუთრებით დიდი ამ კულტურების დაზიანება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ზუგდიდის, ცხაკაისა და გეგეჭკორის რაიონებში. აქ დიდი რაოდენობით დაიღუპა ლიმონისა და ფორთოხლის ხეები. უდავოა, რომ მკაცრი ზამთრის გავლენა წელს იმოქმედებს ამ კულტურების მოსავლიანობაზე.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უმოკლეს ვადაში უნდა ჩაატარონ სუბტროპიკულ კულტურებში აგროწესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შეეინარჩუნოთ ყინვებისაგან დაზიანებული ნარგავები და რაც შეიძლება მეტი მოსავალი მივიღოთ მათგან.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაისა და დაფნის პლანტაციების გაშენებას. 1964-1965 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმებით მრავალწლიანი ნარგავები უნდა გაშენდეს 73,5 ათას ჰექტარზე. ეს იმ ფართობის ნახევარზე მეტია, რაც გასული 10 წლის განმავლობაში იყო გაშენებული. მომდინარე წელს უნდა გაშენდეს: ხეხილის ბაღები — 13.000 ჰექტარზე, ვენახი — 15.900 ჰექტარზე, ჩაის პლანტაციები — 3.800 ჰექტარზე, ციტრუსები — 700 ჰექტარზე, დაფნა — 500 ჰექტარზე.

მიუხედავად ასეთი დიდი გეგმისა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მუშაობა სათანადოდ ვერ გაშალეს, გაზაფხული ჯეროვნად ვერ გამოიყენეს და მრავალწლიანი კულტურები შედარებით მცირე ფართობზე დარგეს.

საშემოდგომოდ ბაღებისა და ვენახების გაშენების წლიური გეგმის შესასრულებლად ახლავე უნდა იქნას მიღებული ზომები. სათანადოდ უნდა მომზადდეს ნიადაგი, სარგავი მასალა და უზრუნველყოფილ იქნას ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალების შესრულება.

გასულ წელს არახელსაყრელი ამინდებისა და ზამთრის დიდი ყინვების შედეგად ვენახები ბევრგან დაზიანდა, მომდინარე წელს ეს დასუსტებული ნარგავები საჭიროებენ გულდასმით მოვლას; არც ამ წლის გაზაფხულის ამინდები იყო ვენახისათვის ხელსაყრელი. ყოველივე ეს ავალებს მევენახეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა სახის აგროტექნიკური ღონისძიებანი განახორციელონ დასუსტებული ვენახების გაჯანსაღებისათვის.

მიუხედავად ბუნების მოვლენების მიერ მიყენებული ზარალისა, ვენახის მსმენიერობა ისეთია, რომ ყურძნის სახელმწიფო შესყიდვა უზრუნველყოფილ უნდა იქნას. ამისათვის კი აუცილებელია არ მოვაკლოთ ყოველდღიური მზრუნველობა ვენახებს, არ დავუშვათ რაიმე საშუალოს დაგვიანების გამო ფოთლის ან მტევნის დაზიანება. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა.

წელს მოსალოდნელია ხილის, განსაკუთრებით თესლოვანების — ვაშლის, მსხლის კარგი მოსავალი, რამაც უნდა განაპირობოს ხილის დამზადების გეგმის შესრულება 130,0 ათასი ტონის რაოდენობით.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალური და ორგანული სასუქების ფართოდ და რაციონალურად გამოყენებას, გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკა მიიღებს 22 ათასი ტონით მეტ მინერალურ სასუქებს, უნდა აღინიშნოს, რომ წლის პირველ ნახევარში ცალკეული ქარხნები დაწესებულ ვადებში ვერ ასრულებენ გადმოტვირთვის გეგმებს, რაც გარკვეულად აბრკოლებს სასუქების დროულად შეტანას კულტურების ქვეშ. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგი საწარმო სამმართველო ურიგდება ამ ფაქტებს, როცა „საქსოფლტექნიკის" საწყობებიდან დაგვიანებით ხდება სასუქების გაზიდვა და ზოგჯერ სასუქები ღია ცისქვეშ არის დატოვებული. ასეთი დანაშაულებრივი უდარდელობა შემდგომში არ უნდა გამეორდეს.

უკანასკნელ დროს სასუქების დაგვიანებით გაზიდვის ფაქტებს ადგილი აქვს სიღნაღის, ხაშურის, ოჩამჩირის, მახარაძის, გორისა და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად „საქსოფლტექნიკასთან" იქმნება სოფლის ქიმიზაციის სამმართველო და სათანადო ქსელი. რესპუბლიკაში მოეწყობა სამი მძლავრი აგროქიმიური ლაბორატორია, ამ ორგანოების მუშაობის კარგად მოწყობა დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სრულყოფილად განხორციელებაში.

ამხანაგო დეპუტატებო! ცნობილია, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებებია განხორციელებული კოლხიდის დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის. გაწეულია დიდი მატერიალური ხარჯები, მაგრამ ამომრობილი მიწების ათვისება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ამა წინათ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ღონისძიებანი კოლხიდის ფართობების ათვისების დასაჩქარებლად. როგორც გამონაკლისი, შიდასამეურნეო ქსელის მოწყობა ძირითადად სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელდება: სათანადოდ გაუდიდდა დაფინანსება წყალთა მეურნეობის სამინისტროს. მასვე ამ სამუშაოთა შესრულებისთვის მიეცა ავტომანქანები და მექანიზმები. ახლა საქმის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უზრუნველყოფენ სამუშაოთა პრაქტიკულად განხორციელებას წყალთა მეურნეობის სამინისტრო და იმ რაიონების ხელმძღვანელები, სადაც კი მუშაობა უნდა ჩატარდეს. საქ. კპ ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო გულდასმით შეამოწმებენ ამ ღონისძიებათა შესრულებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

მკაცრმა და ხანგრძლივმა ზამთარმა უეჭველია თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა პირუტყვის გამოზამთრებაზე. განსაკუთრებით იმ მეურნეობებში, სადაც კარგად ვერ იყვნენ მომზადებული ზამთრისათვის.

ბეცოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 10 ივნისისათვის შესრულებულია: ხორცისა — 90,5 პროცენტით, რძისა — 55,9 პროცენტით, კვერცხისა — 81,1 პროცენტით, მატყლისა — 66,0 პროცენტით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს დიდი ზარალი განიცადეს გამხდარი და ჯანდაბა პირუტყვის ჩაბარების შედეგად. ახლა საჭირო განსაკუთრებული ზომების მიღება იმისათვის, რომ წლის მეორე ნახევარში ჩაბარდეს კარგი ნაკვებობის პირუტყვი. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა გვაქვს რძის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულების მხრივ. აუცილებელია, რომ უკლებლივ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ არსებული რეზერვები სათანადოდ გამოიყენონ იმისათვის, რომ რძის შესყიდვის წლის პირველი ნახევრის დავალება შესრულდეს. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის და რესპუბლიკის ინტერესები და ამ შიმართულებით მუშაობა ყოველდღე გაცხოველებით უნდა მიმდინარეობდეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელებმა აუწონეს ყურადღება ცენტრში უნდა ინაწილოს საკუთარი მტაცეცე საკვები ბაზის შექმნა, ვინაიდან ეს არის მეცხოველეობის განვითარების მთავარი პირობა.

ახლა, თიბვის პერიოდში, არ უნდა დავუშვათ თივის აუღებლობის არცერთი შემთხვევა: თივა, ნამჯა და სხვა სახის უხეში საკვები მთლიანად უნდა ავიღოთ და წესიერად დავაბინაოთ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საწარმოო სამმართველოებთან ერთად ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, პროდუქტების თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებისათვის.

ეჭვს გარეშეა, აღნიშნული ტრესტები საწარმოო სამმართველოებთან ერთად შეასრულებენ ამ დიდ დავალებებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

მომდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობები არსებობს იმისათვის, რომ დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, შესრულდეს დაწესებული დამზადებისა და შესყიდვის გეგმები.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თავთავიანი კულტურების მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებას, რისთვისაც თვითეული კომბაინი და მოსავლის ასაღები და გასალეწი სხვა მანქანები მთელი დატვირთვით უნდა მუშაობდნენ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას ხეხილის ბაღებისა და ვენახების, ბოსტნეულის, კარტოფილის, თამბაქოს, ეთერზეთების, შაქრის ჭარხლის, სიმინდის და სხვა ნარგავებისა და ნთესების დროულად და ხარისხიანად დამუშავება, ეფექტიანი ზომები უნდა იქნას მიღებული მეცხოველეობისათვის საკმაო რაოდენობით საკვების დასამზადებლად და პირუტყვის საზაფხულო იალაღებზე კარგად გამოსაკვებად.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება სასურველ შედეგებს მოგვცემს. ამით განპირობებული იქნება საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების და სახელმწიფო შესყიდვის 1964 წლის გეგმების წარმატებით შესრულება.

ვაჭრობა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობის ერდაზრი ის არის, რომ გაუუმჯობესდეს ხალხის კეთილდღეობა, უფრო სრულად დაკმაყოფილონ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ხალხის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარება. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. ყოველწლიურად იზრდება სასურსათო და არასასურსათო საქონლის მოყიდვა მოსახლეობისათვის, განვითრდა და გაძლიერდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სულ უფრო ფართოდ ინერგება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმები, ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და უმჯობესდება მისი ხარისხი.

მაგრამ ამასთან ერთად კრიტიკულად უნდა შეგვფასოთ ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. 1963 წლის შედეგები მოწმობენ, რომ სავაჭრო ორგანიზაციები დიდ ვალში ასახელებენ ხალხის წინაშე. მათ საქონლბრუნვის წლიური გეგმა მხოლოდ 97,2 პროცენტით შეასრულეს და მოსახლეობას 38,0 მილიონი მანეთის საქონელი დააკლეს. მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ხვედრითი წონა 1963 წლის საქონლბრუნვის გეგმაში 30,2 პროცენტს შეადგენდა, გარღვევაში მისი წილი მთელი დანაკლისის 47,3 პროცენტს აღწევს.

საქონლბრუნვის გეგმის შესრულება 1964 წელს არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მთელმა რიგმა სავაჭრო ორგანიზაციებმა გასულ წელთან შედარებით შეამცირეს საქონლბრუნვის მოცულობა. მათ შორის არიან: აბარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო, „ქუთაისივაჭრობა", „ფოთივაჭრობა", სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო და სხვები.

ვაჭრობის დარგში ჩამორჩენის მიზეზია პირველ რიგში თვით ვაჭრობის ცუდი ორგანიზაცია და მრეწველობის მიერ საქონლის მიწოდების გეგმის შეუსრულებლობა, როგორც რაოდენობის, ისე ასორტიმენტის მხრივ.

სავაჭრო ორგანიზაციები და მრეწველობა ჯეროვან ანალიზს ვერ უკეთებენ კონიუნქტურასა და მოსახლეობის მოთხოვნილებაში მომხდარ ცვლილებებს, გამოწვეულს საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი ზრდით.

ჩვენმა მრეწველობამ მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დააკლო რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებს გეგმით გათვალისწინებული 14,5 მილიონი მანეთის საქონელი, აქედან დიდი რაოდენობით ქსოვილები, ტყავის ფეხსაცმელი, ავეჯი და სხვ. დიდი გარღვევებია აგრეთვე საქონლის დაგეგმილი ასორტიმენტით ჩაბარების საქმეში.

მრეწველობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა დროულად გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნილებაში მომხდარი ცვლილებები და სათანადოდ გარდაქმნან პროდუქციის წარმოება. ამავე დროს ვაჭრობის მუშაკები მოვალენი არიან კარგად იცნობდნენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას და დროულად აძლევდნენ მრეწველებს გაზრახულ და საფუძვლიან განაცხადებს. დასამალი არ არის, რომ მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა კვლავ სუსტ უბნად რჩება სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. მოთხოვნილების განსაზღვრისას სავაჭრო ორგანიზაციები ეეტწილ შემთხვევებში ეყრდნობიან არა ძირეული სავაჭრო ქსელის იმ მუშაკების მონაცემებს, რომლებსაც უშუალოდ მომხმარებელთან აქვთ საქმე, არამედ თავიანთი ცენტრალური აპარატის ან საბითუმო ბაზების საქონლეშოდხვა მასალებს. ამას კი მოსდევს სერიოზული შეცდომები ფართო მომხარების საგნების წარმოების დაგეგმვაში. საჭიროა ვაჭრობის სამინისტრომ ეცადოს შირთან ერთად შეიმუშაოს მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის უფრო სწორი მეთოდი და სახელმძღვანელოდ მისცეს ის სავაჭრო ორგანიზაციებს.

საქონლბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის გამო სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას მძიმე ტვირთად დააწვა საქონლის დიდი ნაშთები, რომელთა მოცულობა საგრძნობლად აღემატება დაწესებულ ნორმატივებს.

საავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უფრადღება უნდა გამამახვილონ საქონლის რესურსებით უკეთ მანევრირებაზე ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს შორის, საქონლის შეზიდვა სავაჭრო ქსელში აწარმოონ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით და არ დაუშვან რთული ასორტიმენტების საქონლის (როგორც არის, მაგალითად, შეკერილი ნაწარმი, ფეხსაცმელი, ქსოვილები) დაქსაქსვა მრავალ არასპეციალიზებულ სავაჭრო საწარმოში. ეს საკითხი აგრეთვე დასმულია სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე, მაგრამ იგი დღესაც მოუგვარებელი რჩება.

დიდი მუშაობა საჭირო თვით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი თანამედროვე მოწყობილობითა და ტექნიკით აღჭურვილი მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გახსნას, ვაჭრობაში ავტომატებისა და ტექნოლოგიური დანადგარების რაციონალურად გამოყენებას და უკეთ მოვლას.

სავაჭრო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლება. ქალაქად და სოფლად კულტურული ვაჭრობის ორგანიზაცია.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სავაჭრო რეკლამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. სავაჭრო რეკლამა ჯერ კიდევ ერთფეროვანია, არ გამოირჩევა მიმზიდველობითა და ორიგინალობით, სათანადოდ ვერ უწყობს ხელს მომხმარებელის გემოვნების განვითარებას. ცოტა რამ კეთდება ახალი საქონლის და კერძოდ რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონლის პოპულარიზაციისათვის. სავაჭრო ორგანიზაციებმა და სამრეწველო საწარმოებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ რეკლამისათვის კინო, რადიო, ტელევიზია, პრესა და სხვა საშუალებანი, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას და საქონლბრუნვის გაფართოებას. უნდა აღმოიფხვრას შეფერხებები ისეთი საქონლით ვაჭრობაში, რომელიც საკმარისად აწყვია ბაზებში და საწყობებში. უნდა აღიკვეთოს სავაჭრო საწარმოების დიდი ხნით დაკეტვა სარემონტოდ და სხვა მიზეზების გამო. საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩამოფასებული საქონლით და განვადებით ვაჭრობა, ზემოქმედების ყველა ზომა უნდა გამოვიყენოთ ისეთი სამარცხვინო შემთხვევების ლიკვიდაციისათვის, როგორიც არის გაფლანგვა-დატაცება, მომხმარებლის ზონა-წონაში მოტყუება და სხვა დარღვევები ვაჭრობაში.

საქონლბრუნვის დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გათვალისწინებით აწარმოოს საქონელბრუნვის დაგეგმვა ტერიტორიული ნაწილის მიხედვით. ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოებს ღიმდინარეობენ ... ...

მცირე თეატრის დიდი ხელოვნება

დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი დრამატული თეატრი — მოსკოვის ლენინის ორდენოსანი მცირე აკადემიური თეატრის სახელგანთქმული კოლექტივი. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნება ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში — ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“.

თბილისში ჩამოსვლამდე მცირე თეატრს გასტროლები ჰქონდა აზერბაიჯანის დედაქალაქში. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბაქოში ეწვია ჩვენს დღევანდელ სტუმრებს და სთხოვა გასტროლების წინ გაზეთის ფურცლებიდან გასაუბრებოდნენ ჩვენს მკითხველებს. მათ სიამოვნებით შეასრულეს რედაქციის თხოვნა. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ მასალებს, აგრეთვე ქართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთა მისასალმებელ წერილებს.

სამეგობრო გასტროლები

მიხეილ ცარიოვი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ჩვენი თეატრის გასტროლების პირველ დღეს ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო თბილისში არ ვიქნები. სწორედ ამიტომ მადლობით უნდა მოვახსენო გაზეთ „კომუნისტის“ redakcia, რომელმაც საშუალება მომცა გასტროლების წინ გავესაუბრო ქართველ მაყურებელს, რომელთან შეხვედრა სასიამოვნოც არის, საპატიოც და პასუხსაგებიც.

თუმცა ამჯერად, მსახიობების ენით რომ ვთქვათ, დიდი დატვირთვა არ მაქვს, მხოლოდ ერთ სპექტაკლში მივიღებ მონაწილეობას. თანამედროვე ამერიკელი მწერლის ჯონ სტეინბეკის პიესაში („მთვარე ჩავიდა“) ოფიცრის როლს შევასრულებ. ჩემი პირველი სპექტაკლი 26 ივნისს არის დანიშნული.

მცირე თეატრში შუამბასთან პარალელურად, როგორც ალბათ იცით, საკავშირო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეც გახლავართ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამახახურებრივი მდგომარეობის გამო უშუალო კავშირი მაქვს რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან, სასცენო ხელოვნების მოღვაწეებთან. რასაკვირველია, რესპუბლიკებთან და კერძოდ საქართველოსთან ჩემი ურთიერთობა მარტო ამ ოფიციალური დამოკიდებულებით არ შემოიფარგლება. პირადი მეგობრული, „შინაურული“ კონტაქტები ურთიერთგაცნობისა და დაახლოების საუკეთესო საშუალებაა.

საქართველოში, თბილისში ბევრი მეგობარი მყავს. კარგად ვიცობ თქვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებას, ქართული სცენის ოსტატებს, ვიცნობ მაყურებელსაც, მის მაღალ გემოვნებას და კულტურას. ვიცნობ, და ამიტომაც მინდა ვუთხრა: მოსკოვის მცირე თეატრის სახით თქვენთან ჩამოდის კოლექტივი, რომელსაც მაღალი უჭირავს სცენური სიმართლის დრამა. თეატრალური კოლექტივი, რომლის ხელოვნება, დარწმუნებული ვარ, ქართველი მშრომელების სიმპათიასა და სიყვარულს სამართლიანად მოიპოვებს.

ჩემი სურვილია კეთილი და სასიამოვნო იყოს მცირე თეატრის სტუმრობა თბილისში.

გულითადი სურვილები

ელენე გოგოლევა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა მითხრა: ჩვენს მკითხველებს და თქვენს მომავალ მაყურებელთ სასიამოვნოდ დარჩებათ, თუ გასტროლების დაწყებამდე, ესე იგი მანამდე, სანამ სცენაზე გიხილავდნენ, რამდენიმე სიტყვას ეტყვით თქვენს შემოქმედებაზე საერთოდ და, კერძოდ, საგასტროლო როლებზე. გულახდილად უნდა გითხრათ, ამ წინადადებამ და იმან, რომ საშუალება მომეცა ორიოდე სიტყვით გავესაუბრო, გაზეთის მკითხველებსა და მაყურებლებს, თვითონ მე მომანიჭა სიამოვნება და სიხარული.

ხშირად ამბობენ: ესა და ეს ქვეყანა ან ქალაქი ჩემი მეორე სამშობლოაო. ასეთ შემთხვევაში იმ გარემოებას უნდათ ხაზი გაუსვან, რომ გარკვეულმა წლებმა, რომლებიც ამ პიროვნებამ დასახელებულ ქვეყანაში გაატარა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის პირად ცხოვრებაში.

მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე. საქართველოში არასოდეს მიცხოვრია. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი. და აი რატომ: ხელოვნება, კერძოდ თეატრალური ხელოვნება ჩემი სიცოცხლეა. მე მეორედ მაშინ დავიბადე, როცა დიდ ხელოვნებაში მოკრძალებით შევედგი ფეხი. ამ ხელოვნებას კი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინმა და კოტე მარჯანიშვილმა მაზიარეს. ისინი იყვნენ სცენაზე ჩემი პირველი მასწავლებლები, ხელმძღვანელები და მეგობრებიც. აი რატომ ვამბობ, რომ საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა.

ჩემი შემოქმედების და ხელოვნების ობიექტურ შემფასებლად, ცხადია, მე არ გამოვდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ თბილისის სცენაზე ამჯერად ორ სპექტაკლში გამოვალ. ესენი გახლავთ რუსული დრამატურგიის კლასიკოსის ალექსანდრე ოსტროვსკის კომედია „მგლები და ცხვრები“ და დიდი ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის დრამა „მოჩვენებანი“. პირველში მერფია მურზავეკაიას როლს შევასრულებ, ხოლო მეორეში ფრუ ალვინგის როლს. ფრუ ალვინგი ჯერჯერობით ჩემი უკანასკნელი ნამუშევარია.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი სურვილები!

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ელენე გოგოლევა ფრუ ალვინგის როლში (ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“). ამ სპექტაკლს ე. გოგოლევას მონაწილეობით შეგიძლიათ დაესწროთ დღეს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

ᲛᲝᲒᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ

მიხეილ ᲩᲐᲠᲝᲕᲘ,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

არ მინდა რომ ჩემი პატარა წერილი ოფიციალურ განცხადებას ჰგავდეს. ოფიციალური, მკაცრი ტონი და მაღალფარდოვნება არ უყვარს მეგობრობას. ჩვენ კი, საბჭოთა ქვეყნის ხალხები, ვმეგობრობთ და მუდამ ვიმეგობრებთ მომავალშიც, რადგან ეს ჩვენი ძლიერების ერთ-ერთი წყაროა.

თბილისში ბევრი მეგობარი მყავს. ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ აქ გატარებულ დღეებს. ახლაც მდელვარებით მოველი შეხვედრას. დარწმუნებული ვარ მცირე თეატრის მთელი კოლექტივი ერთი სურვილით არის გამსჭვალული — იყოს თბილისის სასურველი სტუმარი.

დღეს პირველ სპექტაკლშივე შეეხვედები მაყურებელს, ძველი მუშის—მატრიჩის როლს შევასრულებ ლევ ტოლსტოის სახალხო დრამაში — „მეუფება წყვდიადისა“, რომელიც სამართლიანად ითვლება მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ შედევრად. მატრიჩის სახე უაღრესად რთული და ამასთანავე საინტერესოა. ალბათ თქვენ იცით, რომ ამ როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყო კონსტანტინე სტანისლავსკი.

გასტროლების დროს საშუალება მექნება ჩემი რეჟისორული ნამუშევარიც გიჩვენოთ. კერძოდ, ეს არის თანამედროვე ესტონელი დრამატურგის ეგდინ რანგის პიესა „ბრაკონიერები“. დრამატურგიული თვალსაზრისით ეს უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია; მშვენიერი, ბუნებრივი დიალოგები და მძაფრი სიტუაციები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან სცენური მოქმედებისათვის. სპექტაკლში მხოლოდ სამი მოქმედი პირია. ერთ-ერთს, კერძოდ იაგუას, თვითონ განვასახიერებ. მთავარი თემა ასეთია — ყოველი ადამიანი ვალდებულია საზოგადოებაში თავისი ადგილი, მოწოდება იპოვნოს და ყველაფერი გააკეთოს საზოგადოებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

ნება მიბოძეთ ამით დავამთავრო. თეატრში მალე შეხვედრამდე, მეგობრებო!

კეთილი იყოს!..

ევგენი სიმონოვი,
რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტი, მოსკოვის მცირე თეატრის მთავარი რეჟისორი

ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების ბოლოს, სამამულო ომამდე მამაჩემმა — რეჟისორმა რუბენ სიმონოვმა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე განახორციელა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორი მოწონება ჰქონდა ამ სპექტაკლს... მას შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა ჩვენი ოჯახის მუდმივი თანამგზავრი გახდა. „აბესალომ და ეთერი“ პირადად ჩემთვის ისევე მახლობელი და საყვარელი ოპერაა, როგორც, მაგალითად, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“.

მომწონს რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“, რომელიც დეკადაზე ვნახე მოსკოვში 1958 წელს. აკაკი ხორავა დიდი ტრაგიკოსი მსახიობია. მისი ოიდიპოსი ამის დასტურად შეიძლება დავასახელოთ.

სხვათა შორის, ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩემი საყვარელი პიესაა ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. თბილისში აუცილებლად უნდა ავიდე მთაწმინდის პანთეონში, მუხლი მოვიყარო გრიბოედოვის საფლავთან. გრიბოედოვი ხომ რუსი და ქართველი ხალხების დიდი მეგობრობის ისტორიული სიმბოლოა!

ჩემი სურვილია კეთილი და სასიამოვნო იყოს მცირე თეატრის სტუმრობა თბილისში.

სიზარულს მანიჭებს

ელინა გისტრიკაია,
რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტი

სიმართლე უნდა გითხრათ, წერა მაინცდამაინც არ მეხერხება, მით უმეტეს მაშინ, როცა საჭიროა რამე სერიოზული დაწერო სერიოზული გაზეთისათვის. ამიტომ თუ ნაფიქრალს და სათქმელს სათანადო ფორმა ვერ მოვუნახო, ამას საკვირველ ამბად ნუ მიიჩნევთ.

რით დავიწყო? იმ სპექტაკლებზე ხომ არა ვთქვა რამე, რომლებშიც ახლანდელი გასტროლების დროს მივიღებ მონაწილეობას? შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ შორის, მსახიობთა წრეში ხუმრობით ამბობენ: მაყურებელს სპექტაკლის შესახებ წინასწარ არ უნდა ელაპარაკო, თორემ ინტერესი დაეკარგებაო. იქნება მართალიც იყოს.

ჩემი რეპერტუარი ალბათ უკვე ცნობილია თქვენთვის აფიშებით: ორი სპექტაკლი — ოსკარ უაილდის კომედია „ლედი უინდერმიერის მარაო“ და ს. ალიოშინის სამმოქმედებიანი დრამა „მთავარი როლი“. ამ უკანასკნელში ჩემი გმირი მსახიობი მარია მარტინოვაა.

ვიცი, საქართველოში ძალიან უყვართ გამოჩენილი საბჭოთა მწერალი მიხეილ შოლოხოვი, უყვართ მისი წიგნები, განსაკუთრებით კი, არ შევცდები, თუ ვიტყვი — „წყნარი დონი“. არა მარტო როგორც მკითხველს, არამედ როგორც მსახიობს, მე განსაკუთრებული საფუძველი მაქვს გამორჩევით მიყვარდეს შოლოხოვის შემოქმედება და კერძოდ „წყნარი დონი“. ამ რომანთან დაკავშირებულია ჩემი პირველი დიდი შემოქმედებითი სიხარული. მე ხომ აქანინაის განსახიერება მომიხდა კინოფილმ „წყნარ დონში!“

ამაზე რომ ვლაპარაკობ, კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ. თუ აქამდე მხოლოდ ეკრანიდან „ვიცნობდი“ თბილისს, ქართველ მაყურებელს, ახლა უშუალოდ გავეცნობი და დავუმეგობრდები. ეს კი წინასწარვე დიდ სიხარულს მანიჭებს.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

თავს ბედნიერად ვთვლი ჭაღარა თბილისის მიწაზე მივესალმო ძვირფას სტუმრებს — მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრის ბრწყინვალე კოლექტივს. მცირე თეატრი საბჭოთა სოციალისტური კულტურის დიდება და სიამაყეა. თქვენი სტუმრობა და გასტროლები, ძვირფასო მეგობრებო, დიდი ამაღელვებელი მოვლენაა ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

თავის მდიდარ მუზეუმში, რომელსაც მრავალწლიანი ისტორია აქვს და რომელიც სავსეა მრავალი სამადლობელი მისალმებით, თეატრს შეუძლია შეიტანოს კეთილი სურვილები და გულითადი სიტყვები ქართველი ხალხისა, რომელიც სიყვარულით ეპყრობა და აფასებს რუსულ თეატრალურ ხელოვნებას. ხოლო ჩვენთვის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივისათვის, მცირე თეატრი იმიტომაც არის ძვირფასი, რომ ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა და ჩვენი თეატრის ფუძემდებელმა კოტე მარჯანიშვილმა თავისი უკანასკნელი სპექტაკლი — შიერის „დონ კარლოსი“ სწორედ მცირე თეატრის სცენაზე განახორციელა.

მოსკოვში ჩვენი შარშანწინდელი გასტროლების დროს მცირე თეატრმა სიამოვნებით გაგვიღო თავისი კარი. მარჯანიშვილელები არასოდეს არ დაივიწყებენ ამ გულითადობას და მეგობრობას. მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით არის აღსავსე ჩვენი გული. გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, რომ თქვენი თეატრის გასტროლები სცენური ხელოვნების ნამდვილი ზეიმი იყოს არა მარტო თბილისელი მაყურებლისათვის, არამედ პირადად თქვენთვისაც.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, მეგობრებო!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲯᲝᲗ!

დოდო ანთაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე

მოსკოვის მცირე თეატრი!

რუსული რეალისტური ეროვნული სასცენო ხელოვნების რამდენი ბრწყინვალე ფურცელია დაკავშირებული ამ უძველესი დრამატული თეატრის სახელთან. ვინ ჩამოთვლის, სცენის რამდენი ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი მოღვაწეობდა ამ თეატრში სახელგანთქმული მოჩალოვით დაწყებული თანამედროვე ცნობილი ოსტატებით დამთავრებული.

და დღეს მოსკოვის მცირე თეატრი თბილისშია. ჩვენი დედაქალაქის მაყურებელს საშუალება აქვს პირველად საკმაოდ სრული სახით გაეცნოს მის ხელოვნებას. მრავალფეროვანია რეპერტუარი. მაყურებლები ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებენ ისეთი ცნობილი სპექტაკლებით, როგორიც არის ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“, ალექსანდრე ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი“, ჯონ სტეინბეკის „მთვარე ჩავიდა“ და სხვ.

მარტო ის ფაქტი, რომ სპექტაკლებში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული მსახიობები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ე. გოგოლევა, ბ. ბაბოჩკინი, ი. ილინსკი, მ. ჟაროვი, მ. ცარიოვი, თეატრისა და კინოს ცნობილი ოსტატები ე. ბისტრიცკაია, ე. მატვეევი და სხვები დიდ ინტერესს იწვევს გასტროლებისადმი. ქართველი თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მინდა მხურვალედ მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს. მცირე თეატრის გასტროლები მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეებში გამოწრთობილი მეგობრობის მატიანეში.

ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ!

ვასო გოძიაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

საქართველოს დედაქალაქს ძვირფასი სტუმრები ეწვევნენ...

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მცირე თეატრი თბილისშია...

„ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ“... მთელ დუნიაზე განთქმული სახლი... აქ დაიბადნენ, აღიზარდნენ რუსული ეროვნული თეატრის ვარსკვლავები — ერმოლოვა, ფედოტოვა, იაბლოჩკინა, ლენსკი, სადოვსკები, სტეფანე კუზნეცოვი და მრავალნი სხვანი, რომელთაც ჩვენს დღეებამდე მოტანეს ეროვნული კულტურის, დრამატული აქტიორის შეურცხვენელი დროშა. დღესაც ხომ გაისმის მათდა საამაყოდ ეროვნული, სცენური მართალი სიტყვა!..

სამხატვრო თეატრი— გენიალური სტანისლავსკით და ბრწყინვალე ოსტატებით! იყო ჯადოქარი მეირხოლდი, ნიჭიერი თაიროვი, ათასნაირი სანახაობა, ათასნაირი ფანტაზია და მიმართულებისა (მოსკოვი ხომ თეატრალური მეკაა!). მაგრამ მე მაინც ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი მცირე თეატრს, როგორც ბუდეს დიდი სიმართლის მსახიობებისას. ეს ხომ მთელი სკოლაა?

პატივს ვცემდი მცირე თეატრს, რომელმაც აღზარდა და დაბრძენა ჩვენი დიდი თანამემამულე ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი, თავისი დიდი პატრიოტობით, ღვაწლითა და ამაგით, დიდი სამსახურით, შემოქმედებით, რომანტიკული სულით სამაგიერო პატივი რომ დასდო თავის აღმზრდელს. პატივს ვცემ მცირე თეატრს კოტე მარჯანიშვილის „დონ-კარლოსისათვის“ და იმ მწუხარების გაზიარებისათვის, ჩვენი დიდი ხელმძღვანელის გარდაცვალების დროს რომ განვიცადეთ. არ დამავიწყდება გოგოლევას და აქსიონოვის დაცრემლილი თვალები.

1930 წელი. პირველი საკავშირო თეატრალური ოლიმპიადა. რუსთაველის თეატრმა სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით და ჩემმა ჩოხა-მესტებიანმა ახმამ (ს. შანშიაშვილის „ანზორ“) გაინავარდა ამ ბარაკიან სცენაზე.

1937 წელი. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. მარჯანიშვილის თეატრი მცირე თეატრში. და მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მომიხდა ჩემი საყვარელი პატარა კახის განცდები გადმეცა ამ თეატრის სცენიდან მოსკოველ მაყურებელთათვის (ლ. გოთუას „ერეკლე მეფე“).

დედაქალაქის თეატრალური საზოგადოება დიდი პატივისცემით და სიყვარულით შეხვდება „ᲩᲔᲮᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ და მის ბრწყინვალე ოსტატებს.

ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობა ვალდებულია გაეცნოს თეატრის ყველა სპექტაკლს. ნახოს... საჭირო გაკვეთილს მიიღებს!

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

დრამბითი სახალხო კონსულტაციური კონგრესისა და ურთიერთ თანამშრომლობის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს მიწვევით 19 ივნისს მოსკოვიდან ინდონეზიაში საპასუხო ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ა. ტ. გონჩარი, ა. ა. ეპიშევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. კახაროვი, კ. მურთაზაევი, ა. ნ. მიასნიკოვი, ხ. Თ. პავლოვი, ს. პოლიმბეტოვი, მ. ი. სალამზადე, გ. ი. ჩოგოვაძე.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გაიცილეს ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა, მ. ა. სუსლოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვებმა.

გამგზავრების წინ ა. ი. მიკოიანმა პრესისა და რადიოს წარმომადგენლებს განუცხადა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიემგზავრება ინდონეზიაში საპასუხო ვიზიტად. ჩვენ მოხარული ვართ, რომ გავეცნობით ინდონეზიელი ხალხის ცხოვრებას, ვნახავთ ამ საინტერესო, მშვენიერ ქვეყანას. (საკვლევი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲝᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 ივნისი (საკვლევი). გუშინ უორენის კომისიამ, რომელიც შეიქმნა პრეზიდენტ კენედის მოკვლის გარემოებათა გამოსაძიებლად, დაამთავრა მოწმეთა და იმ პირთა დაკითხვა, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულება ტრაგიკულ ამბებთან, გასული წლის 22 ნოემბერს რომ მოხდა დალასში. უკანასკნელს დაკითხა კომისიამ თეორი სახლის საიდუმლო სამსახურის უფროსი ჯეიმს როულს.

კომისიის მოხსენება ჯერ არ არის. პრესის ცნობით, იგი მზად იქნება 30 ივნისს, რის შემდეგ გაეგზავნება პრეზიდენტ ჯონსონს და უფრო გვიან გამოქვეყნდება. მაგრამ უკვე ახლა, ცდილობს რა წინასწარ განვრიტოს მისი დასკვნები, ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ მოხსენება „როგორც ფიქრობენ, საერთოდ დაადასტურებს გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციის ვერსიას, რომ პრეზიდენტი კენედი მოკლა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომელიც მარტოდმარტო მოქმედებდა“.

თუმცა უორენის კომისია უკვე შვიდი თვეა მუშაობს, 88 მოწმეს დაკითხა და კიდევ 313 პირის ჩვენება მიიღო. მაგრამ პასუხი არ გაუცია იმ კითხვებზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავადმყოფ მკვლელობასთან დაკავშირებთან, რომლებსაც იძლევიან ბევრი ამერიკელი, აგრეთვე მთელი რიგი თვალსაჩინო იურისტები და ჟურნალისტები შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ. ბევრ ამერიკელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ კომისია იმდენად არ ცდილობდა გაერკვია პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებანი, რამდენადაც ცდილობდა „დაემუხრუჭებინა საქმე“.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ?!..

„ᲒᲕᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ“

ᲓᲘᲣᲜᲔᲚᲓᲠᲤᲝ, 18 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება:

დღეს დიუსელდორფიდან დემოკრატიულ ბერლინში გაემგზავრა ავტობუსით სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობთა ჯგუფი, რომელიც თვენახევარზე მეტია გასტროლებს მართავდა დასავლეთ გერმანიაში.

გასტროლები შეწყდა იმასთან დაკავშირებთან, რომ ბონის ხელისუფლებამ უარი თქვეს განეგრძოთ საბჭოთა მსახიობებისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოფნის ვიზები.

გასტროლების ორგანიზატორმა ანტრეპრენიორმა მატნერმა წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა. გვრცხვენია, რომ ჩვენი მთავრობა ასე მოიქცა, თქვა მან.

დიუსელდორფის ბევრი მეცხოვრები მოვიდა საბჭოთა მსახიობების გასაცილებლად. ისინი მჭუხარე ტაშით მიესალმნენ მსახიობებს.

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ გამოაქვეყნა გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში საშიშ დანაშაულთა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა. ავტომობილის გატაცების რიცხვი 22 პროცენტით გადიდდა, ქურდობის შემთხვევები გაიზარდა 21 პროცენტით, გაძარცვისა და ბინის გატეხვისა — 18 პროცენტით.

ᲗᲝᲕᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 18 ივნისი (საკდესი). თოვლმა დაფარა მთები კაბის პროვინციაში, ტრანსკეისა და ჩრდილოეთ ტრანსვაალში. თოვლი მოვიდა სამხრეთ აფრიკის დიდ ნაწილში, აგრეთვე კალაჰარის უდაბნოში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იოჰანესბურგიდან. ამ ქვეყნის ზოგიერთი რაიონის მცხოვრებლები თავიანთ სიცოცხლეში პირველად წაიყენენ ასეთ მოვლენას — აქ არ ყოფილა თოვლი საუკუნის დამდეგის შემდეგ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — სემიონ კოტკო (მე-5 აბონ. მე-4 წარმოდგენა), მახარაძის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მარჯანიშვილის თეატრის შენობაში — მე ვხედავ მზეს, ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ — მაშენკა (მე-14 აბონ. მე-10 წარმოდგენა), ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის გასტროლები, სპორტის სასახლე — ვენის ბალეტი „ყინულზე „აის რევიუ“, „ოცნება ბედნიერებაზე“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

12.00 — „ავარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.20 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „კაპრონის ბადე“, 18.00— გადაცემათა პროგრამა, 18.05—გადაცემა საბჭოთა არმიის მეორმხრებისათვის, 19.05 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.25—სიმღერები ქართული კინოფილმებიდან, 19.45—გადაცემა „მცირე თეატრი და საქართველო“, 20.30—ფილმი-ოპერა „იოლანტა“, 21.55 — საკვირაო საესტრადო კონცერტი.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲪᲘ

ᲑᲐᲓᲓᲐᲓᲘ, 19 ივნისი (საკდესი). ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდელ სალამ არეფმა გუშინ ფიცი ჩამოართვა ახალ მთავრობას, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი თაქერ იაქია.

თაქერ იაქია, რომელიც სათავეში ჩაუდგა მთავრობას, აგრეთვე თავდაცვის მინისტრის მოვალეობას შეასრულებს. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი კელავ უკავია სუბჰი აბდელ ჰამიდს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი — გენერალ რაშიდ მუსლიმს. მთავრობის შემადგენლობაში შევიდა ხუთი ახალი პირი.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲑᲠᲘᲜᲓᲚᲘ ᲑᲔᲜᲛᲐ ᲨᲘᲛᲨᲘᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ

ᲯᲝᲠᲯᲢᲐᲣᲜᲘ, 19 ივნისი (საკდესი). ბრიტანეთის გვიანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბრინდლი ბენმა 34 სხვა დაპატიმრებულთან ერთად შიშნლობა გამოაცხადა უკანონოდ დაპატიმრებისა და ციხის რეჟიმის საზიზღარი პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ბრიტანეთის გვიანაში დაპატიმრება მოხდა ინგლისელი გუბერნატორის ლუიტის ბრძანებით ბრალდების წაყენებამდე. დაპატიმრებულთა შორის ძირითადად არიან მმართველი სახალხო-პროგრესული პარტიის ლიდერები, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს ჩედი ჯაგანის მთავრობას.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ?!..

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 ივნისი (საკდესი). გუშინ უორენის კომისიამ, რომელიც

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — სემიონ კოტკო (მე-5 აბონ. მე-4 წარმოდგენა), მახარაძის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მარჯანიშვილის თეატრის შენობაში — მე ვხედავ მზეს, ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ — მაშენკა (მე-14 აბონ. მე-10 წარმოდგენა), ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝ